

საბანკო მომსახურების პირობების 3.14 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

3.14. ბარათის/ღამატპმპითი ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურება:

- 3.14.1. კლიენტის მიერ განაცხადით მოთხოვნილი პირობების შესაბამისად შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი განაცხადით მოთხოვნილი ბარათის/ღამატპმპითი ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურება, შესაბამისი ბარათის/ღამატპმპითი ბარათის მოთხოვნიდან 4 (ოთხი) საბანკო დღის ვადაში;
- 3.14.2. ბარათის/ღამატპმპითი ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ იმ კლიენტებს, რომლებიც სარგებლობენ PIN-კოდის სმს-ით მიღების მეთოდით;
- 3.14.3. ბარათის/ღამატპმპითი ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების შესრულებისას ბარათის/ღამატპმპითი ბარათის მიღება, აგრეთვე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ კლიენტის, ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ;
- 3.14.4. კლიენტის მიერ, ბარათის/ღამატპმპითი ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების მოთხოვნის განაცხადით შესაძლებელია განსაზღვრულ იქნას მაქსიმუმ 2 (ორი) უფლებამოსილი პირი.
- 3.14.5. კურიერისა და კლიენტის ან/და უფლებამოსილი პირის მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დასტურდება ბანკის მიერ, ბარათის/ღამატპმპითი ბარათის გადაცემა და კლიენტის მიერ ბარათის/ღამატპმპითი ბარათის მიღება-ჩაბარება;
- 3.14.6. კლიენტის ან უფლებამოსილი პირების მიერ ბარათის მიუღებლობის/ჩაუბარებლობის შემთხვევაში კლიენტი ბარათის/ღამატპმპითი ბარათის მიიღებს ბარათის/ღამატპმპითი ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების მოთხოვნის განაცხადით განსაზღვრულ ბანკის სერვის ცენტრში შესაბამისი ბარათის/ღამატპმპითი ბარათის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში;
- 3.14.7. ბარათის/ღამატპმპითი ბარათის აქტივაცია განხორციელდება ბანკის სატელეფონო ცენტრის საშუალებით, ბანკში დადგენილი პროცედურებისა და სტანდარტების შესაბამისად;
- 3.14.8. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ბარათის/ღამატპმპითი ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების საკომისიო, ასევე ყველა არსებული გადასახდელი/გადასახადი, ხოლო თუ საკომისიო/გადასახდელი/გადასახადი და ანგარიშში რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკმა თავად განხორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსის შესაბამისად, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს კლიენტის ანგარიშებიდან;
- 3.14.9. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე შეცვალოს/დააწესოს ბარათის/ღამატპმპითი ბარათის ადგილზე მიტანის საკომისიოს ოდენობა;
- 3.14.10. კლიენტი ვალდებულია, ბარათის/ღამატპმპითი ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების მოთხოვნის განაცხადში მითითებული რომელიმე მონაცემის ცვლილების შემთხვევაში დაუყობლივ შეატყობინოს ბანკს.
- 3.14.11. ბანკი არ აგებს პასუხს ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა დადგეს უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელებული ქმედებით.